ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №14

ზესტაფონი "24" ნოემბერი 2011წ.

ერთის მხრივ ზესტაფონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმომადგენელი, უფროსის მ/შ ქეთინო ედიბერიძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "ჯეოკავშირი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმომადგენლის რეზო სარალიძის სახით.

1. ხელშეკულების საგანი:

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სახსრებით, მომსახურეობის შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად,ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია, რესურსცენტრის სახსრებით ლაი-ლაი ბარათების შესყიდვა.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. მომსახურეობის შესყიდვის ფასი განისაზღვრება ლარებში და შეადგენს 60 (სამოცი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები,ადგილი და პირობები.

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 30 დეკემბრამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ოფისები.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება მთლიანად ან ეტაპობრივად წინასწარ ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი(ვადები) და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარ, ლარებში.

6.2. 5.3. პუნქტის შესაბამისად, ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად.

6.3. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზრაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.4. ანაზღაურების ადგილია ქ.ზესტაფონი.

6.5. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს საგადასახადო ანგარიშფაქტურა საანგარიშო თვის 30 რიცხვამდე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიოდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას.

8.1. ხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს დამატებითი ვადა, მაშინ დამატენბით ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 30 დეკემბრამდე.

11. სხვა პირობები.

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ თავისი მოვალეობების შეუსრულებლობის სრულ შესრულებამდე.

11..2. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

11.3. ხელშეკრულების დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.4. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

11.5. ხელშეკრულების საერთო პირობები მიიღება " სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მიხედვით.

11.6. ამ ხელშეკრულების პირობებს და საერთო პირობებს \შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამის მუხლებს.

11.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელიდან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს,ერთი შემსყიდველს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთთქმულის პასუხად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

იურიდიული მისამართი;	შ.პ.ს. "ჯეოკავშირი"
ზესტაფონის საგანმანათლებლო	
რესურსცენტრი	ს/კ 230088080
ს/კ 230057639	
მისამართიქ.ზესტაფონი.დ.აღმაშენებლის ქ№61	ზესტაფონი ჭანტურიას ქ №48
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი220101222	ბანკის კოდი: 220101543 "საქ. ბანკი"
სახელმწიფო ხაზინა 200122900	ა/ა 181476700

რესურსცენტრის უფროსი:	შპს "ჯეოკავშირი" დირექტორი:
ქეთინო ედიბერიძე	რეზო სარალიძე